ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-0118124924**

თარიღი: **04.05.2018**

ადრესატი:
მაია გვიმრაძე
პირადი ნომერი: 01026002685
მისამართი: თბილისი მ.კოსტავას I შეს. N 11

თქვენი # 19/011811733308-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო
სამსახურის უფროსის მოადგილე)

გიორგი გეგეძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 8-19/01181173308-17

"04" 05 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, "ჩალიპირები" /ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, "ჩალიპირები"-ში (საკ. კოდი №01.72.14.034.731) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობა (ავტოსაგამოფენო დარბაზი-ოფისი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2217046 22.10.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სოფელ დიღომში, "ჩალიპირები" /ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, "ჩალიპირები"-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე შეცვლილია ვიტრაჟებში დანაყოფების რაოდენობა და კარებების გაბარიტი. გადახურვაზე სარეკლამო წარწერების ნაწილს მონაცვლებული აქვს ადგილი და შემცირებულია ქართული დამწერლობის სარეკლამო წარწერების რაოდენობა. „ე-ა" ფასადი: „ე" ღერძის გარეთ შეცვლილია მოპირკეთების ფორმა, დამატებულია ორფრთიანი და სლაიდური კარი, კონდიციონერება და გამწოვი მილები. შენობის შიგნით დამატებულია ზამთრის ბაღში გასასვლელი კარი.

ზ.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ი.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. „იმედა მოტორ ჯგუფი"-ს (ყოფ. შ.პ.ს. „ვესტა"), ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, "ჩალიპირები" /ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, "ჩალიპირები"-ში (საკ. კოდი №01.72.14.034.731) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობა (ავტოსაგამოფენო დარბაზი-ოფისი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01181173308-17 27.04.2018წ. განცხადება

საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გ. გეჯაძე